ფრე “კარპატისთან”

ლვოვი. ცენტრალური სტადიონი “დრუჟბა”. 18 ივნისი.

“კარპატი” (ლვოვი) – “დინამო” (თბილისი) 0:0.

“კარპატი”: რაკიტსკი, ფურსოვი, ანდრიუშჩენკო, კიკოტი (რიფიაკი), ბონდარენკო, ბროვარსკი, სავკა, ვასილიევი, პოდპალიუკი, დანილიუკი, კოზინკევიჩი.

“დინამო”: გაგოშიძე, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ებრალიძე, მუჯირი, გ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, ქანთარია, წერეთელი.

მსაჯი: ა. ტაბაკოვი (მოსკოვი).

დუბლიორები – 1:0 “დინამოს” სასარგებლოდ.

მატჩის დასაწყისი აღინიშნა თანაბარი ბრძოლით და ორმხრივი იერიშებით, თუმცა საქმე სახიფათო მომენტებამდე იშვიათად მიდიოდა. შემდგომში დინამოელებმა მოუმატეს ტემპს, უფრო აქტიურად შეუტიეს და მასპინძელთა კარი ზედიზედ აღმოჩნდა გოლის გატანის საშიშროების წინაშე. ასე, მე–10 წუთზე გუცაევი დრიბლინგით შეიჭრა მეტოქის საჯარიმო მოედანზე და მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ვერ შეძლო გადამწყვეტი დარტყმის ზუსტად შესრულება. ათიოდე წუთის შემდეგ გუცაევს კიდევ მიეცა ანგარიშის გახსნის რეალური შანსი, მაგრამ “კარპატის” კარი ძელმა იხსნა.

შესვენების შემდეგაც ორივე გუნდი აქტიურად თამაშობდა და საბოლოოდ, მოწინააღმდეგეებმა თანაბრად გაიყვეს ქულები – 0:0.

“ლელო”, 20 ივნისი, 1974 წ.